



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 03

2016 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის  
უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი  
პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის  
უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი  
პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანებით  
დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის  
და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით  
დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ  
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და  
პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი  
სპეციალისტის ნინო დემეტრაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N15519, 11.01.2016წ.)  
შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და  
ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი  
კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და  
ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი  
კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი  
N1-ის შესაბამისად;
3. ამ ბრძანების დანართ N2-ად განისაზღვროს შეთანხმება სსიპ შოთა რუსთაველის  
ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ოქსფორდის უნივერსიტეტს შორის საქართველოს  
კვლევების პროგრამის ფარგლებში მიწვეული მკვლევარების შესახებ;

4. ამ ბრძანების დანართ N3-ად განისაზღვროს გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა ოქსფორდის უნივერსიტეტსა და „მიწვეულ მკვლევარს“ შორის;

5. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;


6. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

7. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

8. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გიორგი ჟღენტი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



დამტკიცებულია  
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის 2016 წლის 11 იანვრის № 03 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის  
უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი  
პროგრამის საგრანტო კონკურსის

პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და ოქსფორდის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო დაფინანსება განხორციელდება საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსის) საფუძველზე.
2. ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი კვლევითი პროგრამის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.
3. ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები არეგულირებს საგრანტო კონკურსის გამართვის, საკონკურსო განაცხადის შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების მონიტორინგის საკითხებს.

მუხლი 2. კონკურსის მიზნები

კონკურსის მიზნებია:

- ა) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე;
- ბ) ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში;
- გ) საქართველოსა და რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების გამოყენებით თანამშრომლური კონტაქტებისა და კვლევითი კონსორციუმების